



AGRO FOOD TRADE

Healthy. Fresh. Tasty

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“აგრო ფუდ ტრეიდი”

2020 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „აგრო ფუდ ტრეიდი“

რეგისტრაციის ადგილი: საქართველო;

საფირმო სახელწოდება: შპს აგრო ფუდ ტრეიდი;

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404952618

რეგისტრაციის თარიღი: 19/07/2012

მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ვაკე-საბურთალოს რაიონი ალ. ყაზბეგის გამზირი, N 3ა, ბინა 59;

ფაქტობრივი მისამართი: საქმიანობის ძირითადი ადგილი (10.06.2019 წ - დან)- საქართველო, თბილისი, სამურზაკანოს N 33

ელ. ფოსტა: zaal1991@gmail.com

დირექტორი: ზაალ გახუტიშვილი

შპს „აგრო ფუდ ტრეიდი“

წლიური ანგარიში: 25 დეკემბერი 2021 წელი

ფინანსურ ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი: 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ფინანსური ანგარიშგების შინაარსი:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

.....

2. ზოგადი დებულებები

.....

3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

.....

4. სრული შემოსავლის ანგარიშგება

.....

5. კაპიტალის მოძრაობა ანგარიშგება

.....

6. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

.....

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

- კომპანია iProduct დაფუძნებულია 2012 წლის 19 ივლისს, ფიზიკური პირის ზაალ გახუტიშვილის, 100 % - იანი წილობრივი მონაწილეობით, კომპანიას ფუნქციონირების მანძილზე ერთხელ შეეცვალა საფირმო სახელწოდება, მაგრამ არ შეცვლილა პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა.
ამჟამად კომპანია ფუნქციონირებს შპს აგრო ფუდ ტრეიდის სახელწოდებით.
- შპს აგრო ფუდ ტრეიდი (ყოფილი iProduct), ს/კ 404952618, 2019 წლის 19 ივლისს რეგისტრირებულია მეწარმეთა და არამეწარმეთა (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12090085
- კომპანიის დირექტორი - ზაალ გახუტიშვილი პ/ნ 01008054819
- კომპანიის იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 3ა, ბ. 59
- კომპანიის ფიზიკური მისამართი - ქ. თბილისი, სამურზაკანოს 33
- კომპანიის ძირითადი საქმიანობა - საკვები პროდუქციის (ჩირეული, თხილეული, მარცვლეული, ბურღულეული) რეალიზაციას/დისტრიბუციას. პროდუქტის/ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება, როგორც უცხო ქვეყნებში, ასევე ადგილობრივ ბაზარზე სხვადასხვა ბიზნეს ოპერატორებისა და სოფლად მცხოვრები ფიზიკური პირებისაგან.

შპს აგრო ფუდ ტრეიდი - ს საქმიანობის სფერო მოიცავს ლიდერი ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელებისათვის ქართული და იმპორტული სოფლის მეურნეობის, წონის კატეგორიის პროდუქციის: ჩირეულის, თხილეულის, მარცვლეულის, ბურღულეულისა და სუნელების მიწოდებას არასტანდარტული, განსხვავებული პროფილით, რაც გულისხმობს აღნიშნული პროდუქციის მიწოდების შემდგომ განთავსებას, ბრენდირებულ, თანამედროვე და პრაქტიკულ ინვენტართან ერთად, საიდანაც ხდება პროდუქციის უშუალო რეალიზაცია. აღნიშნულ დახლებს ემსახურება მაღალკვალიფიციური პერსონალი, რომელიც ნებისმიერ დროს მზად არის, დაეხმაროს მომხმარებელს პროდუქციის შერჩევისას, გააცნოს პროდუქციის მახასიათებლები და მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქციის წარმოშობისა და ვადების შესახებ.

კომპანია ყოველდღიურად იზრდება და ვითარდება. ფართოვდება პარტნიორთა ქსელი და პორტფოლიო. შესაბამისად წვლილი შექცავს ქვეყნის აგრო ბიზნესის განვითარებასა და აღნიშნულ სფეროში, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში.

გარდა ამისა, ერთ-ერთი პრიორიტეტია, შეიქმნას მომარაგების საიმედო, ოპერატიული და უწყვეტი ჯაჭვი ქვეყნის შიდა თუ გარე სოფლის სხვადასხვა ტიპის მეურნეობებიდან სუპერმარკეტების ქსელმდე და უშუალოდ მომხმარებლებამდე. შესაბამისად თითოეული ნაბიჯი გათვლილია გრძელვადიან ურთიერთობებზე, რადგან ჩამოყალიბდეს ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული საქმიანი ურთიერთობები პარტნიორებთან და მომწოდებლებთან.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე კონკურენცია ძალიან მაღალია, პროდუქციის ხარისხის, აქტიური მარკეტინგული საქმიანობისა და სხვადასხვა საოპერაციო თუ არასაოპერაციო სერვისების დანერგვის ხარჯზე, კომპანია დღეისათვის წარმატებით ართმევს თავს კონკურენციას და ინარჩუნებს ბაზარზე ერთ-ერთი სანდრო სადისტრიბუციო კომპანიის სახელსა და მძლავრ პოზიციონირებას.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სფეროში ბაზარი და მისი მოთხოვნა საკმაოდ დინამურია და მუდმივად ცვალებადი ტენდენციები გააჩნია, 2019 წლის იანვარში კომპანიაში გადაწყდა და განხორციელდა რეორგანიზაცია, შეიცვალა სავაჭრო ნიშანი და ოპერირება განახლდა AGRO FOOD TRADE-ის სახელით. დაიგეგმა შესაბამისი სეგმენტური განვითარების სტრუქტურა და საცალო (დაფასოებული სახე) სეგმენტში მძლავრი პოზიციონირება, რადგან ვფიქრობთ, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმისაგან, ერთიანობაში (ფასისა და ხარისხის შესაბამისობა, ფართო ასორტიმენტი, მომხმარებელამდე სწორი ინფორმაციული გარემოს შექმნა და ა.შ) შემდგარი პროდუქციის ხაზი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის ყველა მოთხოვნასა და თანამედროვე სტანდარტებს ერთდროულად დააკმაყოფილებს.

კომპანიას გააჩნია საკმაოდ ამბიციური სურვილი და სტრატეგიული გეგმა, რომელიც გულისხმობს ლიდერის პოზიციის დაკავებას ბაზარზე აღნიშნულ სეგმენტში. შეიქმნა ე.წ ქვებრენდი “აგროფაი”, რომელშიც გაერთიანდა, ბაზარზე აქამდე არსებულ ბრენდებსა და მათ პროდუქციაზე მეტად კონსოლიდირებული და ფართო ასორტიმენტი. აღნიშნული ბრენდის განვითარებისათვის კომპანიაში განხორციელდა 1 500 000 ლარის მოცულობის ინვესტიცია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა ცალსახად შეიძლება ითქვას რომ COVID-19 -თან დაკავშირებული ბიზნეს სირთულეები, გაყიდვის ნაწილში ჩვენს კომპანიას არ შეხება. უფრო მეტიც, ეკონომიკური კრიზის პირობებში სოც. პროდუქტებზე გაჩენილმა მზარდმა მოთხოვნამ გამოიწვია ამ მიმართულების სტიმულირება. კომპანიაში მოხდა რესურსების გადანაწილება მოცემულ სიტუაციაში სწორად განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, რამაც ერთობლიობაში მოგვცა ბრუნვის ზრდა და ბაზარზე პოზიციონირების გაძლიერება.

ამრიგად შპს აგრო ფუდ ტრეიდი წარმოადგენს სტრუქტურულად, ფუნქციონალურად და ფინანსურად მდგრად ბიზნეს ობიექტს.

კორპორაციული მართვის პოლიტიკა

კომპანიის სტრუქტურა ოპტიმალურად არის მორგებული ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობაზე.

სტრუქტურული თავისებურებები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკე ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნებული ფუნქცია - მოვალეობისთვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად დაფიქსირებას, რადგან მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა იმგვარად, რომ მაქსიმალურად ეფექტურად იქნას გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

კომპანიის პოლიტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვისათვის, კომპანიაში შექმნილია სხვადასხვა ტიპის პოლიტიკა, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ა) ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა - რისი პრევენციის მიზნითაც დაწესებულია სხვადასხვა შეზღუდვა თუ აკრძალვები:

- საქმიანობა დასაქმებული კომპანიის მიღმა.
- ნათესაური თუ სხვა ტიპის კავშირი დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის.

- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება.
- ნარკოდამოკიდებულება.
- პერსონალური ტრანზაქციები.

ბ) პერსონალურ მონაცმთა დაცვის პოლიტიკა - დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესებისა და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალურ მონაცმთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

გ) ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა - აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა ოთხ კატეგორიად:

- საჯარო.
- შიდა მოხმარების.
- კონფიდენციალური.
- სრულიად საიდუმლო.

დ) შეტყობინების მართვის პოლიტიკა - მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. პოლიტიკის თანახმად კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

არაშინაანსური ანგარიშგება

კომპანიის გუნდი

შპს აგრო ფუდ ტრეიდ - ში დასაქმებულია 100 ადამიანი. მრავალი კანდიდატიდან, კომპანია არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებულ და მონდომებულ პიროვნებებზე. რადგან კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, შესაბამისად შექმნილია ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენია სამართლიანობა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულის წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შიდაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

შრომის ჯანსაღი გარემო

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე არასდროს დაფიქსირებულა თანამშრომლებთან შრომითი დავა. კომპანია აცნობიერებს, რომ თანამშრომელი, მისი განწყობა, შემართება და მოტივაცია კომპანიის წარმატების საწინდარია, ამიტომ ცდილობს განურჩევლად კვალიფიკაციისა თუ სხვადასხვა თანამდებობისა ყველა თანამშრომელს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. ასევე კომპანია მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს.

შრომის უსაფრთხოება

კომპანია ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისათვის უსაფრთხო გარემო. კომპანიის იჯარით აღებულ შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, შრომით უსაფრთხოებაზე, ასევე მოდელირებები სხვადასხვა უბედური შემთხვევებისა, რათა პერსონალს სხვადასხვა საფრთხის შემცველ სიტუაციაში ავტომატურ დონეზე გააჩნდეთ შესაბამისი ქცევითი მოქმედებები, რაც პროტოკოლით არის გათვალისწინებული. მომზადდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. საჭირო მუშაკები კი აღჭურვილნი არიან სპეც. ტანსაცმლით.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა მისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული მიმართულების დასარეგულირებლად გამოყენებულია ვრცელი პოლიტიკა „ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს მკაცრ კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ განხორციელებული ქმედება იყოს აღნიშნულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ბანცხალება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით. საანგარიშო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. მსს ფასს-ების შესაბამისად, შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი. საანგარიშგებო წელი (საანგარიშო პერიოდი) ემთხვევა კალენდარულ წელს.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა-ლარი და მოცემული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ლარს.

შესრულები ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თარიღი	ვალუტა	კურსი
31.12.2020	1 აშშ დოლარი	3.2677

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები მცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობის და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

სასაქონლო მატერიალური ვასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ვასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა, მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ვასეულობების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწვეულია მათი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ვასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიც არის პირდაპირი შრომა და ნედლეული. აგრეთვე ისეთ სისტემატურად გადასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ვასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ვასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება FIFO მეთოდი.

სავაჭრო ღა სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ საექვო მოთხოვნებისა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო დავა. ასეთ დროს საექვო მოთხოვნა აღირიცხება სხვა მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება, თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ექვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებს ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;
- პროგრამული უზრუნველყოფა - 5 წელი;

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ

საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთი სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება 10 % - იანი ამორტიზაციის განაკვეთი, წრფივი მეთოდი. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც არ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობების ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალი აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას. არამატერიალური აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროით ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მომენტალურად მოგება-ზარალში აღიარდება. თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში. გაუფასურების ზარალის ანულირება მომენტალურად აღიარდება მოგება-ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება, მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება, შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობით ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ბანკსაზღვრელობის შემსახების ძირითადი წყაროები

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდის განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით. ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

ა) საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები - შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტებით საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

ბ) საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები - კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა, თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, კომპანია შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

ბადახდისუზნარობის და ფინანსური მდგრალობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუზნარობის და ფინანსური მდგრალობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილის და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილებების შედეგად.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომელიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის.



დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

ზ. გახუტიშვილი

მ. სტურუა

სრული შემოსავლის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები	4,818,374	3,323,591	2,548,495
1110-ნაღდი ფული საღაროში	52,667	24,587	3,234
1200-ფული საბანკო ანგარიშებზე	29,389	41,393	205,358
1400-მოკლევადიანი მოთხოვნები	3,876,553	2,762,687	1,654,478
1600-სასაქონლო მატერიალური მარაგები	859,765	494,924	685,425
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გრძელვადიანი აქტივები	297,237	251,224	212,797
2500-სხვა არამატერიალური აქტივები	278,249	231,239	191,017
2100-ძირითადი საშუალებები	18,987	19,985	21,780
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5,115,610	3,574,815	2,761,292
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
3100-მოკლევადიანი ვალდებულებები	1,410,371	642,283	547,745
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
3300-საგადასახადო ვალდებულებები	31,261	61,920	34
გამომუშავებული შემოსავალი			
3200-მოკლევადიანი სესხები	1,966,822	1,199,990	425,000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	3,408,454	1,904,193	972,779
საკუთარი კაპიტალი			
5100-სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	22,400	-	65,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
5300-გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,684,756	1,670,622	1,723,512
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1,707,156	1,670,622	1,788,512
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,115,610	3,574,815	2,761,291

დირექტორი:

მთ. ბულალტერი



ზ. გახუტიშვილი

მ. სტურუა

Handwritten signature

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრეიდი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაკანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

სრული შემოსავლის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019	01.01.2018
საოპერაციო შემოსავლები	12,178,955.00	8,434,207.18	8,401,602.94
შემოსავლები რეალიზაციიდან-დღე-თი გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	12,717,441.00	8,762,527.33	8,749,788.75
	(538 486)	(348,185.81)	(348,185.81)
არასაოპერაციო შემოსავლები	69,596.00	1,991.84	13,937.75
კონვერტაციის შემოსავლები სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,429.00	1,736.67	1,225.89
	51,167.00	1,255.17	12,711.86
შემოსავლები სულ			
საოპერაციო ხარჯები	11,725,661.00	8,416,881.51	7,401,995.77
ცვეთა და ამორტიზაცია	53,322.00	53,341.16	52,832.97
გაყიდული შეძენილი საქონელი	10,312,403.00	7,194,186.37	6,476,418.90
გაყიდული შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(430,947.00)	(260,325.62)	176,237.94
სარეკლამო ხარჯი	715,202.00	402,743.19	438,552.04
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	58,017.00	80,318.31	2,241.54
საწვავის ხარჯი	54,535.00	25,396.90	18,517.69
მიწოდების სხვა ხარჯები	59,641.00	64,823.16	37,292.91
მრომის ანაზღაურება	45,591.00	33,905.80	21,126.34
საიჯარო ქირა	650,960.00	652,883.26	83,451.62
საკომუნიკაციო ხარჯი	141,440.00	121,350.79	64,992.03
სარემონტო ხარჯი	5,815.00	5,420.44	6,398.77
კომპიუტერული ხარჯი	6,932.00	5,326.20	4,416.96
საკონსულტაციო ხარჯი	7,850.00	4,163.56	299.05
სხვა საგადასახადო ხარჯი	3,439.00	20.00	2,000.00
საბანკო მომსახურება	2,547.00	2,398.36	1,791.08
სხვა საერთო ხარჯი	6,239.00	2,001.97	8,603.10
საპენსიო ხარჯი	21,322.00	16,423.66	6,822.83
	11,352.00	12,504	
არასაოპერაციო ხარჯები			
საპროცენტო ხარჯები	215,283.00	72,207.40	12,664.92
არასაოპერაციო ზარალი	147,225.00	64,460.44	4,948.63
კონვერტაციის ხარჯი			1,079.84
ჯარიმები	34,628.00	1,849.99	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	400.00	3,424.00	
	19,691.00	2,475.97	6,636.46
ხარჯი სულ	11,927,606.00	8,489,088.91	7,414,660.69
მოგება დაბეგვრამდე	320,945.00	(52,889.89)	1,000,880.00
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრის შემდეგ	320,945.00	(52,889.89)	1,000,880.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი



[Handwritten signature]

ზ. გაბუტიშვილი

მ. სტურუა

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრეიდი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაყანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

სრული შემოსავლის ანგარიშგება	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
დასახელება	31.12.2020	31.12.2019	01.01.2018
საოპერაციო შემოსავლები	12,178,955.00	8,434,207.18	8,401,602.94
შემოსავლები რეალიზაციიდან-დღე-თი გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	12,717,441.00	8,762,527.33	8,749,788.75
	(538 486)	(348,185.81)	(348,185.81)
არასაოპერაციო შემოსავლები	69,596.00	1,991.84	13,937.75
კონვერტაციის შემოსავლები სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,429.00	1,736.67	1,225.89
	51,167.00	1,255.17	12,711.86
შემოსავლები სულ			
საოპერაციო ხარჯები	11,725,661.00	8,416,881.51	7,401,995.77
ცვთა და ამორტიზაცია	53,322.00	53,341.16	52,832.97
გაყიდული შეძენილი საქონელი	10,312,403.00	7,194,186.37	6,476,418.90
გაყიდული შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება და	(430,947.00)	(260,325.62)	176,237.94
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	715,202.00	402,743.19	438,552.04
სარეკლამო ხარჯი	58,017.00	80,318.31	2,241.54
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	54,535.00	25,396.90	18,517.69
საწვავის ხარჯი	59,641.00	64,823.16	37,292.91
მიწოდების სხვა ხარჯები	45,591.00	33,905.80	21,126.34
შრომის ანაზღაურება	650,960.00	652,883.26	83,451.62
საიჯარო ქირა	141,440.00	121,350.79	64,992.03
საკომუნიკაციო ხარჯი	5,815.00	5,420.44	6,398.77
სარემონტო ხარჯი	6,932.00	5,326.20	4,416.96
კომპიუტერული ხარჯი	7,850.00	4,163.56	299.05
საკონსულტაციო ხარჯი	3,439.00	20.00	2,000.00
სხვა საგადასახადო ხარჯი	2,547.00	2,398.36	1,791.08
საბანკო მომსახურება	6,239.00	2,001.97	8,603.10
სხვა საერთო ხარჯი	21,322.00	16,423.66	6,822.83
საპენსიო ხარჯი	11,352.00	12,504	
არასაოპერაციო ხარჯები	215,283.00	72,207.40	12,664.92
საპროცენტო ხარჯები	147,225.00	64,460.44	4,948.63
არასაოპერაციო ზარალი			1,079.84
კონვერტაციის ხარჯი	34,628.00	1,849.99	
ჯარიმები	400.00	3,424.00	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19,691.00	2,475.97	6,636.46
ხარჯი სულ	11,927,606.00	8,489,088.91	7,414,660.69
მოგება დაბეგვრამდე	320,945.00	(52,889.89)	1,000,880.00
მოგების გადასახადი			
მოგება დაბეგვრის შემდეგ	320,945.00	(52,889.89)	1,000,880.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი



Handwritten signature

ზ. გაბუტიშვილი

მ. სტურუა

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრეიდი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაკანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა I ჯგუფი 20%	საწყობის აღჭურვილობა I ჯგუფი 20%	ავტო და ინვენტარი II ჯგუფი 20%	საავტო ინვენტარი II ჯგუფი 20%	სატრანსპორტო საშუალებები II ჯგუფი 20%	საოპერაციო კონტროლის საშუალებები II ჯგუფი 20%	სულ
31 დეკემბერი 2017						840	142067	73279	644	235878
შემოსულა				10824	2909		43394	24054	10161	91342
გადაფასება										0
გასვლა								-27424		-27424
31 დეკემბერი 2018				25152	7629	840	185461	69909	10805	299796
შემოსულა				1498	4925		37492	38514	338	82767
გადაფასება										0
გასვლა										0
31 დეკემბერი 2019				26650	12554	840	222953	108423	11143	382563
შემოსულა				8637	2580		31176	69242	3127	114762
გადაფასება										
გასვლა								-29462		
31 დეკემბერი 2020				35287	15134	840	254129	148203	14270	467863
გვეთა და გაუფასურება										0
31 დეკემბერი 2017				5104	1755	398	43315	18664	205	69441
31 დეკემბერი 2018				2945	815	88	26644	13125	978	44595
31 დეკემბერი 2019				3472	1518	71	27837	14927	1989	49814
პერიოდის გვეთა 2020				3173	1888	57	25977	17208	2021	50324
გვ. ელიმინაცია 2018								-12527		-12527
გვ. ელიმინაცია 2020								-12033		-12033
31 დეკემბერი (2017+2018+2019+2020)				14694	5976	614	123773	39364	5193	189614
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი 2017				9224	2965	442	98752	54615	439	166437
31 დეკემბერი 2018				13631	3541	283	87665	35720	7633	148473
31 დეკემბერი 2019				15129	8466	283	125157	74234	7971	231240
31 დეკემბერი 2020				20593	9158	226	130356	108839	9077	278249

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი



Handwritten signature

ზ. გახუტიშვილი

მ. სტურუა

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრეიდი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაკანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფსების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი	740,000	-	(36,201)	703,799
წმინდა მოგება			758,833	758,833
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			758,833	758,833
გაცემული დივიდენდი				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	50,000			50,000
2017 წლის 31 დეკემბერი	790,000	-	722,632	1,512,632
წმინდა მოგება			1,000,880	1,000,880
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			1,000,880	1,000,880
გაცემული დივიდენდი				-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(725,000)			(725,000)
2018 წლის 31 დეკემბერი	65,000	-	1,723,512	1,788,512
წმინდა მოგება			(52,890)	(52,890)
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი			(52,890)	(52,890)
გაცემული დივიდენდი				-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(65,000)			(65,000)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,670,622	1,670,622
წმინდა მოგება			320,945	320,945
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი			320,945	320,945
გაცემული დივიდენდი			(306,811)	(306,811)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	22,400		-	22,400
2020 წლის 31 დეკემბერი	22,400		1,684,756	1,707,156

დირექტორი:

მთ. ბულალტერი



ზ. გახუტიშვილი

მ. სტურუა

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრედი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაყანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს აგრო ფუდ ტრეიდი	შენიშვა	მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
დასახელება	#	31.12.2020	31.12.2019	01.01.2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები		4,818,374	3,323,591	2,548,495
1100-ნაღდი დული საღაროში	1	52,667	24,587	3,234
1200-ფული საბანკო ანაგრიშებზე	2	29,389	41,393	205,358
1400-მოკლევადიანი მოთხოვნები	3	3,876,553	2,762,687	1,654,478
1600-სასაქონლოს-მატერიალური მარაგი	4	859,765	494,924	685,425
გრძელვადიანი აქტივები		297,237	251,224	212,797
2100-ძირითადი საშუალებები	5	278,249	231,239	191,017
2500-არამატერიალური აქტივები	6	18,987	19,985	21,780
სულ აქტივები		5,115,610	3,57,815	2,761,292
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები		3,408,454	1,904,193	972,779
3100-მოკლევადიანი ვალდებულებები	7	1,966,822	1,199,990	425,000
3200-მოკლევადიანი სესხები	8	31,261	61,920	34
3300-საგადასახადო ვალდებულებები	9			
საკუთარი კაპიტალი		1,707,156	1,670,622	1,788,512
5100-საწესდებო კაპიტალი	10	22,400	-	65,000
5300-მოგება/ზარალი	11	1,684,756	1,670,622	1,723,512
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,115,610	3,574,815	2,761,291

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი



ზ. გახუტიშვილი

მ. სტურუა

Agro Food Trade Ltd
I/C 404 952 618
Address: 33 Samurzakano str.
Tel: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge

შპს. აგრო ფუდ ტრეიდი
ს/კ. 404952618
მის: სამურზაყანოს ქ. 33
ტელ: (+99532) 2690896
Email: info@agrofoodtrade.ge
Web: www.agrofoodtrade.ge